სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 63

ქ. ლანჩხუთი 06 სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი, (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გოჩა ლომაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „ჯიესსი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ეკატერინე ყურაშვილის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე". „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ანხორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „მხარე" - „შემსყიდველი" ან/და „მიმწოდებელი".

1.7 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სოკერის - ფეხბურთის ბურთები (CPV 37451700)

2.2 სოკერის - ფეხბურთის ბურთები 25 (ოცდახუთი) ერთეული.

3. შესყიდვის საფუძველი: მონეტარული ზღვრების დაცვით

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2000 (ორიათასი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

5.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

5.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფი.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

ბ) „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

7. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

7.1 საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება: ქ. ლანჩხუთი გორგასლის ქ. #11

7.2 საქონლის მიწოდების ვადაა 2018 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" უფლემაბოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

უზრუნველყოს „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული, ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საფეხბურთო სკოლაში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

9.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს დასკვნით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

9.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10% -ის ოდენობით.

10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 2 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

სპორტული ცენტრი

ს/კ 433649359

სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ BAGAGE22

ქ. ლანჩხუთი გორგასლის #11

T – 599 70 20 22

დირექტორი: /გ.ლომაძე/

„მიმწოდებელი“

შპს „ჯიესსი“

ს/ნ: 402046406

ა/N: GE08BG0000000161595100

სს „საქართველოს ბანკი“

ბ/კ: BAGAGE22

მის: ქ. თბილისი

აღმაშენებლის გამზირი #197

T – 555 57 67 67

/ე.ყურაშვილი/

11.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 2 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

სპორტული ცენტრი

ს/კ 433649359

სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ BAGAGE22

ქ. ლანჩხუთი გორგასლის #11

T – 599 70 20 22

დირექტორი: /გ.ლომაძე/

„მიმწოდებელი“

შპს „ჯიესსი“

ს/ნ: 402046406

ა/N: GE08BG0000000161595100

სს „საქართველოს ბანკი“

ბ/კ: BAGAGE22

მის: ქ. თბილისი

აღმაშენებლის გამზირი #197

T – 555 57 67 67

/ე.ყურაშვილი/